მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 8 მაისის N4487983 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა, ქალაქ თბილისში, მელიქიშვილის N10 -ში მდებარე 01.15.02.006.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნივთზე გაცემულ, 2017 წლის 6 იანვრის N3026884 მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებაში და ჩვენივე მოთხოვნით , გაცემული ნებართვის მოქმედების ვადად ნაცვლად 2019 წლის 8 მაისისა და განისაზღვრა 2020 წლის 9 ივნისი.

გაცნობებთ, რომ ახალი კორონავირუსის ინფექციის (Covid -19) გავრცელების გამო, ჩვენც ისევე როგორც ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტებს მოგვიწია სამუშაო პროცესის შეფერხება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და მისი თანმდევი აკრძალვების/შეზღუდვების გამო, ამასთან, შეფერხდა სარემონტო მოსაპირკეთებელი მასალების მოწოდება ევროპის ქალაქებიდან. ასევე უცხოელმა ქვეკონტრაქტორებმა ვეღარ მოახერხეს მშენებლობის გაგრძელება (რადგან ვერ შეძლეს ქვეყანაში შემოსვლა). აღნიშნულის გამო სამშენებლო სამუშაოებმა გადაიწია 2020 წლის დეკემბრის ბოლოსთვის.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განსაზღვროთ 2020 წლის 31 დეკემბერი.